

დამტკიცებულია თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს

გადაწყვეტილებით (სხდომა №20, 18.06.2009 წ.)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი – კახაბერ ლორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრის მიზანია აკადემიური, სამეცნიერო, პროფესიული მიღწევების ხელშეწყობა.
2. ცენტრის ამოცანებია:
 - ა) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;
 - ბ) უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვა;
 - გ) მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

დ) ქართულ და უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და პროექტების მომზადება;

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურულ რგოლს, რომელსაც ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი.

2. ცენტრის უფროსს თსუ-ის რექტორის რეკომენდაციით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ცენტრის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი თანამშრომელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

3. ცენტრის უფროსი:

ა) წარმართავს ცენტრის მუშაობას;

ბ) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

ე) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4. ცენტრის პერსონალი შედგება ცენტრის უფროსის, მთავარი სპეციალისტების (2), უფროსი სპეციალისტისა (1) და სპეციალისტისაგან (1).

5. ცენტრი ახორციელებს:

ა) ფაკულტეტების საჭიროებების შესწავლას აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით;

ბ) პროფესიული განათლების პროგრამების სამუშაო ვარიანტების შემუშავებას;

- ვ) აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი (სასერტიფიკატო) კურსების ორგანიზებას;
 - დ) სწავლების თანამედროვე მეთოდებთან და დარგობრივი ცოდნის გაღრმავების საკითხებთან დაკავშირებული სემინარების ორგანიზებას;
 - ე) კონტაქტების დამყარებას უცხოურ უნივერსიტეტებთან, დონორ ორგანიზაციებთან, ფონდებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
 - ვ) ზრდასრულთა პროფესიული განათლების მიმართულებების სფეროების დადგენას;
 - ბ) მრგვალი მაგიდებისა და დისკუსიების ორგანიზებას
 - ჰ) ზრდასრულთა განათლებისთვის სასერტიფიკატო და არასასერტიფიკატო სასწავლო კურსების/მოდულების მომზადება ფაკულტეტებთან თანამშრომლობით;
 - ო) პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და გავრცელება;
 - ჟ) სისტემატური ტრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ორგანიზებას.
- პ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასერტიფიკატო პროგრამების მომზადების ორგანიზებას;

მუხლი 4. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.